**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისისა და მისი სტრუქტურული ერთეულების პროფესიულ საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის**

**ბრძანება N**

ქ. თბილისი

MOD 5 18 00000002

12/06/2018

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისისა და მისი სტრუქტურული ერთეულების პროფესიული საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების მე-15-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისისა და მისი სტრუქტურული ერთეულების პროფესიული საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

**ა)კომისიის თავმჯდომარის მოადგილე** - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

ბ) **კომისიის წევრები:**
ბ.ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი/უფროსის მოადგილე;
ბ.ბ) საჯარო დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი. წარმომადგენელს განსაზღვრავს ამ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების მე-15-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;
ბ.გ) დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი ან/და შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

2. საკონკურსო კომისიის მდივნის ფუნქციის შესრულება დაევალოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის პროფესიულ საჯარო მოხელეთა მართვის სამმართველოს უფროსს - **მანანა ჯაბადარს,** მისი არყოფნის შემთხვევაში ამავე სამმართველოს პერსონალის ადმინისტრირების განყოფილების მთავარ სპეციალისტს **ხათუნა ბაბუნაშვილს.**

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისისა და მისი სტრუქტურული ერთეულების პროფესიულ საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისისა და მისი სტრუქტურული ერთეულების პროფესიულ საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 03 აგვისტოს MOD4 17 00000002 ბრძანება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

5. ბრძანება ძალაშია 2018 წლის პირველი ივნისიდან.

**საკონკურსო კომისიის**
**თავმჯდომარე**

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო / ადამიანური
რესურსების დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
დავით გუნაშვილი